საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10.10213331**
თარიღი:**29/11/2021**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 ნოემბრის # ბ.10.10213264 ბრძანებაში ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 ნოემბრის # ბ.10.10213264 ბრძანებაში ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ“ კერძოდ:

   გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ბრძანებით დამტკიცებულ დანართი #1-ში ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სარეორგანიზაციო ღონისძიებათა გეგმა“

   1-ლი პუნქტის ,, ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით“ ,,ბ)რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად წარდგენა 2021 წლის 15 დეკემბრამდე;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247);

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM